

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

07.11.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მალრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA – Georgia) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

თუთა წარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, პროგრამის დირექტორი, სხდომის მდივანი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

მიხეილ ჩხენკელი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;

ნოდარ შურღია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის“ დირექტორი;

ნინო ქადაგიშვილი - „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი-ს ფილიალი საქართველოში“ მენეჯერი;

ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ელენე ვაკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

1. მიხეილ ბატიაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი;
2. ნინო ენუქიძე - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დეკანი;
3. მაია ნონიაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
4. ბერიკა შუკაკიძე - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მარინა გედევანიშვილი;
ქეთევან ცეცხლაძე;
რევაზ ხოფერია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მარინა გედევანიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნინო ქეთევან ცეცხლაძემ და რევაზ ხოფერიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით დასკვნის ჩაბარების შემდგომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა გამოსწორებული მასალები, აღსანიშნავი იყო, რომ რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იყო თუმცა პორგრამები ჯერ არ იყო მზად აკრედიტაციისათვის. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა განეხორციელებინა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, კერძოდ:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი 2. ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები 3. საინფორმაციო ტექნოლოგიები	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში; 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 3. ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში.
მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში.
დოქტორანტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.1 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდებოდა შემდეგი სისტემით:

- 91%-ზე მეტი - A ფრიადი - დადებითი
- 81-90% - B ძალიან კარგი - დადებითი
- 71-80% - C კარგი - დადებითი
- 61-70% - D დამაკმაყოფილებელი - დადებითი
- 51-60% - E საკმარისი - დადებითი
- 50%-ზე ნაკლები - F ჩაიჭრა - უარყოფითი

როგორც აღნიშნულიდან ჩანდა (რაც თავად ვიზიტისას ადმინისტრაციის მიერაც იქნა დადასტურებული), სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასებაში FX - ვერ ჩააბარა, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, მაშინ, როდესაც FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ჰქონდა დასკვნითი გამოცდიდან 5 დღის ვადაში გადაეხარებინა გამოცდა და გაეუმჯობესებინა მიღებული ქულა. სტუდენტის შეფასების ანალოგიური სისტემა იყო გაწერილი დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც კერძოდ, სტუდენტის მიერ FX - ვერ ჩააბარა (ანუ შეფასება 41-50%) მიღების შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე გასვლის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლების შესახებ ჩანაწერი არ არსებობდა აღნიშნულ დოკუმენტშიც. აღნიშნულ ჩანაწერს ითვალისწინებდნენ მხოლოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აუცილებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტთან;

1.2 დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები ეყრდნობოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედ რეგულაციებს. გამოწვევის იყო ინგლისური ენის სილაბუსები და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც შეფასებაში გათვალისწინებული იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით აუცილებელი იყო დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში ასახული ყოფილიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 1 სექტემბრიდან გათვალისწინებული ცვლილებები;

1.3 უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებისა და თავად სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი იყო სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს, რომელიც გულისხმობდა სამოტივაციო წერილს/ ესსეს და რეზიუმეს წარმოდგენას. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი/ესსე შეფასდებოდა მაქსიმალური 60 ქულით, მინიმალური ზღვარი იყო 31 ქულა, კანდიდატის რეზიუმე შეფასდებოდა მაქსიმალური 40 ქულით და მინიმალური 21 ქულით.“

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა წინააღმდეგობაში იყო „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №227 ბრძანებასთან, რომლის თანახმად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო გამოცდა სპეციალობაში. ასევე შესაძლებელი იყო სხვა გამოცდის დაწესებაც სხვა საგანში/საგნებში. შესაბამისად აუცილებელი იყო მაგისტრატურაში მიღების წესი შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №227 ბრძანებასთან;

1.4 ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გახლდათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება და სამოტივაციო წერილისა და რეზიუმეს წარდგენა. მაგისტრანტს არ მოეთხოვებოდა ინგლისური ენის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. უცხოური ენის სწავლება არც საგანმანათლებლო პროგრამით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი ვერ აკმაყოფილებდა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურისათვის საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული კომუნიკაციის სწავლის შედეგს: „კურსდამთავრებულს უნდა შეძლებოდა თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით“. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსების (მაგ: მარკეტინგის მენეჯმენტი, ვებ დეველოპმენტი ბიზნესისათვის, სტრატეგიული მეწარმეობა და ა.შ) ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. შესაბამისად, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგის მიღწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველი იყო სამაგისტრო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრული ყოფილიყო ენის თუნდაც B1.2 დონეზე ცოდნა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა უპრობლემოდ ემუშავათ სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე. გარდა ამისა სასურველი იყო სამაგისტრო პროგრამაში რამოდენიმე სასწავლო კურსი/კომპონენტი შესწავლილი ყოფილიყო ინგლისურ ენაზე.

1.5 სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის მიხედვით: „პროგრამის ფარგლებში თითოეულ კურსში იგეგმებოდა „ჩაშენებული პრაქტიკა“, რაც იმას გულისხმობდა, რომ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარის განსავითარებლად, სტუდენტები განახორციელებდნენ ვიზიტებს ორგანიზაციებში, რომელთანაც უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობდა.

უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან: „საქართველოს რკინიგზა“, „სილქნეტი“, „სოფთ ლაინი“, შპს „პრინტარეა“, ააიპ „გლობალ ქონფორმითი“, შპს „საი გლობალ ჯორჯია“, შპს „ორიენტ ლოჯიკი“, შპს „მწვანე ციკლი“, შპს „გამომცემლობა პალიტრა L“, შპს „რეშენალს სოლუშენი“, შპს „ნიუს რუმი“ და სხვა.

ვიზიტის ხანგრძლივობა თითოეული კურსისთვის იქნებოდა 1 თვემდე. ამ პერიოდის განმავლობაში, სტუდენტს წვდომა ექნებოდა საჯარო ინფორმაციაზე, ეყოლებოდა პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, რომელიც გააცნობდა ბიზნეს მენეჯერის ტიპურ

სამუშაო პროცესს. ამის შემდგომ, სტუდენტს ევალებოდა 3-დან 5 გვერდამდე რეფლექციის დაწერა, რომელიც შემდგომ აისახებოდა მის ელექტრონულ პორტფოლიოში.“ პრაქტიკის სილაბუსი სამაგისტრო პროგრამაში არ იყო, არც სასწავლო კურსების სილაბუსებში იყო ინფორმაცია პრაქტიკასთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით ეს იქნებოდა კრედიტგარეშე აქტივობა, მისი საათები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვაში გათვალისწინებული არ იყო და შესაბამისად არ შეფასდება. აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო კურიკულუმში ან მის ფარგლებს გარეთ დეტალურად ყოფილიყო გაწერილი აღნიშნული აქტივობის შეფასება და რეგულაციები.

1.6 როგორც პროგრამიდან ჩანდა, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი გასაუბრებას გაივლიდნენ უნივერსიტეტის დარგობრივ კომისიასთან, შეფასება მოხდებოდა 7 კომპონენტის მიხედვით, 100 ქულიანი სისტემით, თუმცა შეფასების კრიტერიუმები დეტალურად ჩაშლილი არ იყო.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იყო დოქტორანტის გასაუბრებაზე შეფასების კრიტერიუმები დეტალურად ჩაშლილიყო. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე დოქტორანტს დაენიშნებოდა სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც იგი ყოველ კვირა 1-2 საათის განმავლობაში შეხვდებოდა, უცხოელი პროფესორი, რომელთანაც იმუშავებდა თვეში 1-2 საათი და ბიზნეს მენტორი, რომელთანაც 3 თვეში 1-2 საათი კონსულტაცია ექნებოდა. სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტს დაეხმარებოდა სასწავლო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში, სადისერტაციო ნაშრომის სრულფასოვნად შესრულებაში. უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორ-მკვლევარი გაუზიარებდა საკვლევო თემატიკის გარშემო არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას, საერთაშორისო პრაქტიკას. რაც შეეხებოდა მენტორს, რომელიც წარმოადგენდა შესაბამისი დარგის ექსპერტ/პრაქტიკოს სპეციალისტს, წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ზედა რგოლის მენეჯერს, იგი დაეხმარებოდა საკვლევო თემატიკის გარშემო უახლესი და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში, სფეროს ექსპერტებთან შეხვედრების ორგანიზებაში საკვლევო თემატიკიდან გამომდინარე. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში იყო ჩანაწერი: „დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი (6 სემესტრი), მაქსიმალური ხანგრძლივობა კი 5 წელი (10 სემესტრი)“. იმავე სტრუქტურის თანახმად (იხილეთ დიაგრამა), სადოქტორო ნაშრომზე დოქტორანტი მუშაობას იწყებდა მე-4 სემესტრიდან და ამთავრებდა მე-10 სემესტრში. დიაგრამის საპირისპირო იყო ჩანაწერი „სადოქტორო ნაშრომის მომზადება იწყება მეოთხე სემესტრიდან. საბოლოო ნაშრომის წარდგენის, შეფასებისა და დაცვის ვადები დოქტორანტისთვის განისაზღვრება ინდივიდუალურად აკადემიური საბჭოს მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი დიაგრამით გამოსახული სტრუქტურა (სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის დაწყებისა და დამთავრების ვადებთან დაკავშირებით) ჩანაწერთან, რომლის თანახმადაც დოქტორანტს შეეძლო 6 სემესტრში (და არა აუცილებლად 10-ში) დაესრულებინა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა. ასევე გაურკვეველი იყო ჩანაწერი: „მეორე სემესტრიდან დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს დაიწყოს სწავლება/პროფესორის ასისტირება (18 კრედიტი), რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მომდევნო რვა სემესტრის განმავლობაში.“

1.7 როგორც სილაბუსების შესწავლით ირკვეოდა: ცალკეულ სილაბუსებში არ იყო გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. ზოგ შემთხვევაში სილაბუსში ჩანდა შეფასების კომპონენტები (რა მოწმდებოდა), მაგრამ არ ჩანდა როგორი იყო შეფასების კრიტერიუმები და როგორ ხდებოდა

ქულების მინიჭება. სადოქტორო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით: „მიღებული შეფასების საფუძველზე სადისერტაციო საბჭო იღებდა შემდეგ გადაწყვეტილებებს: კვალიფიკაციის მინიჭება (ა-ე შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია). შეფასების სისტემის მიხედვით ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკაყოფილებდა – მაქსიმალური შეფასების 51-60%. დოქტორანტურის დებულების მიხედვით კი (მუხლი 21 პუნქტი 4), „დისერტაცია დაცულად ითვლება, თუ კი დისერტანტის მიერ მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმალურად შესაძლო ქულათა ჯამის 60%-ს და მეტს, დისერტანტის მიერ მიღებული ქულათა ჯამის მიხედვით.“ შესაბამისად აღნიშნული ორი ჩანაწერი ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდიოდა. პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით აქ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს და დოქტორანტურის დებულებაში 60%-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 51%. ცალკეულ სილაბუსებში ხარვეზი იყო ქულების დაჯამებასთან დაკავშირებით. მაგალითად: სადოქტორო პროგრამის კვლევით სემინარები 1, 2, 3: შუალედური შეფასება 1 (40 ქულა); შუალედური შეფასება 2 (40 ქულა); დასკვნითი შეფასება (30 ქულა) ანუ სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება იყო 110 ქულა. გარდა ამისა, დასკვნითი შეფასების 30 ქულა ჩაშლილი არ იყო და დოქტორანტისთვის გაურკვეველი იყო, რა შემთხვევაში შეეძლო დასკვნით გამოცდაზე 0-დან 30-ქულის ჩათვლით მიღება. რაც შეეხებოდა I და II შუალედურ შეფასებებს, შეფასების ქულები ჩაშლილი იყო, თუმცა ინტერვალი აქაც საკმაოდ დიდი იყო, 10-15-20 ქულის ოდენობით.

სასწავლო კურსის ემპირიული მეთოდები. შეფასების კომპონენტები იყო: აქტივობა - 30 ქულა; შუალედური გამოცდა -30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. დოქტორანტებს მიეცემოდათ 10 პრაქტიკული დავალება. თითოეული სასემინარო აქტივობის შეფასების მაქსიმალური ქულა იყო 4. შესაბამისად, აქტივობაში სტუდენტს შეეძლო დაეგროვებინა მაქსიმუმ 40 ქულა მოთხოვნილი 30 ქულის ნაცვლად. ანუ შესაძლებელი იყო, რომ სასწავლო კურსში სტუდენტს დაეგროვებინა 110 ქულა. ანალოგიური ხარვეზები იყო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: მარკეტინგული კვლევის მეთოდები, ფინანსური აღრიცხვა, აკადემიური წერა, ბიზნეს პრაქტიკა და სხვ. სილაბუსებში გვხვდებოდა ისეთი შეფასებებიც, როგორიცაა იყო (მაგ. საბაკალავრო პროგრამის აუდიტის სილაბუსში) სრულყოფილი - 5; კარგი - 4; საშუალო - 3; დამაკმაყოფილებელი - 2; მნიშვნელოვანი ხარვეზებით - 1; არადამაკმაყოფილებელი - 0. ასევე იყო პროექტის შეფასება იმავე სილაბუსში, პროექტი 15 -ქულიანია, ჩაშლილი იყო 3-3- ქულად, მაგრამ შეფასება იყო შემდეგნაირი: კარგი - 3; საშუალო - 2; დამაკმაყოფილებელი - 1; არადამაკმაყოფილებელი - 0. როგორ გამოისახებოდა აღნიშნული შეფასებები ქულებში, გაუგებარი იყო.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში ძირითადად სალექციო თემები იყო გაწერილი, სტუდენტისთვის ცნობილი არ იყო, რას აკეთებდა იგი კონკრეტულ კვირას, სამუშაო ჯგუფში მუშაობისას, პრაქტიკულ მეცადინეობაზე და ა.შ. გასასწორებელი იყო შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათების შეუსაბამობები სილაბუსში მითითებულ საათების რაოდენობასა (პუნქტი 6) და შინაარსში მითითებულ საათებს შორის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში: ოპერაციათა მენეჯმენტი, სამეწარმეო სამართალი (აქ II შუალედური გამოცდა არც საათების რაოდენობაში იყო მითითებული და არც შინაარსში) და სხვა; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მოწესრიგებულიყო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები, გასწორებულიყო შეფასების სისტემა, გამჭვირვალედ გაწერილიყო შეფასების წესი და კრიტერიუმები.

1.8 პროფესორის ასისტირების სილაბუსის თანახმად, „სწავლების პროცესის ასისტირება გულისხმობდა სასემინარო/სალექციო კურსის დამოუკიდებლად ჩატარებას. გაურკვეველი იყო, თუ დოქტორანტს ლექციის ჩატარების უფლება ჰქონდა, როგორ იყო ეს პროფესორის ასისტირება? გარდა ამისა, ასისტირების შუალედურ შეფასებებში დოქტორანტი ფასდებოდა 35-35 ქულით „ლექციების, სემინარებისა და კვლევაში მონაწილეობის გამო“. რა კრიტერიუმებით ფასდებოდა დოქტორანტი აღნიშნული სამუშაოს შესრულების შემდეგ, დეტალურად ჩაშლილი არ იყო. სასურველი იყო დაკონკრეტებულიყო, ლექციის ჩატარება შედიოდა თუ არა პროფესორის ასისტირების პროცესში და გამჭვირვალედ გაწერილიყო ასისტირების ფარგლებში დოქტორანტის შეფასების კრიტერიუმები. სადოქტორო ნაშრომი 90 კრედიტიანი იყო და ფასდებოდა 4 კომპონენტით: 30-30-20-20 ქულით. თუმცა აღნიშნული ქულები დეტალურად არ იყო ჩაშლილი და დოქტორანტმა არ იცოდა, რა შემთხვევაში როგორ შეაფასებდნენ. გარდა ამისა, არ იყო გამჭვირვალე, როგორ ხდებოდა დოქტორანტისთვის 90 კრედიტის მინიჭება (ნაშრომის დაცვის შემდეგ პირდაპირ 90 კრედიტი მიენიჭებოდა, ეტაპობრივად ხდებოდა კრედიტების მინიჭება, დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირდაპირ 90 კრედიტი მიენიჭებოდა? თუ როგორ). სასურველი იყო დეტალურად და გამჭვირვალედ ყოფილიყო გაწერილი სადოქტორო ნაშრომით გათვალისწინებული 90 კრედიტის მინიჭების წესი, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.

1.9 დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის მეექვსე მუხლის მე-2 პუნქტში - სტუდენტის სტატუსის მოპოვება, „სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგები და შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესი“; პუნქტი 11 - ში ეწერა, „რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რექტორი გამოსცემს ბრძანებას დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მასთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას“. ამასთან, მაგისტრატურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ „მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში უნივერსიტეტსა და მაგისტრანტს შორის იდებოდა ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრებოდა მხარეთა უფლებები და მოვალეობები.“ უნდა აღნიშნოს შემდეგი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის 32-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდებოდა შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირობის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდებოდა აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგებოდა რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 5 ოქტომბრამდე იგზავნებოდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. შესაბამისად, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი, მაგისტრატურის დებულების, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ის ნაწილი, რომლითაც განისაზღვრებოდა მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსის

მოპოვება, წინააღმდეგობაში მოდიოდა მინისტრის N 227 ბრძანებასთან, რადგან ჯერ ხდებოდა მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა რექტორის ერთიანი აქტით და მხოლოდ ამის მერე ფორმდებოდა ხელშეკრულება. რაც შეეხებოდა მობილობის პროცესს, დაწესებულების წესდების 23-ე მუხლის 23.9 პუნქტში განმარტებული იყო, რომ „სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც შიდა, ასევე სწავლების მეორე წლიდან გარე მობილობის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობისა და „ბაკალავრიატის დებულების შესაბამისად“, თუმცა დაწესებულებას არა ჰქონდა შემუშავებული „ბაკალავრიატის დებულება“. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საჭირო იყო შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი მაგისტრატურის დებულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ის ნაწილი, რომლითაც განისაზღვრებოდა მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის 32-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტთან; სასურველი იყო აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ყოფილიყო ბაკალავრიატის დებულება ან ზემოაღნიშნული საკითხები მოწესრიგებულიყო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

1.10 სტუდენტთათვის შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა ჯამში აღემატებოდა კურიკულუმით არჩევით სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის თანახმად, სტუდენტს უნდა გაეწეო 72 კრედიტის არჩევითი კურსები, მაშინ, როცა შეთავაზებული იყო ჯამში 108 კრედიტის მოცულობის საგნები; ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებული იყო 85 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული 44 კრედიტის არჩევითი სასწავლო კურსების ასათვისებლად, ასევე იყო ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამაშიც. რაც შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებული 21 კრედიტის გასავლელად, სტუდენტს შეეთავაზებოდა 38 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები, ჯამში. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 12 კრედიტის სასწავლო კურსების ასარჩევად პროგრამა დოქტორანტს 18 კრედიტის ოდენობით სასწავლო კურსებს სთავაზობდა. ზემოაღნიშნულიდან ჩანდა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა არჩევანის გამჭვირვალობას საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისთვის გარკვეული მოცულობით არჩევითი საგნების შეთავაზების გზით, რომლებიც სპეციალობაში სტუდენტის ცოდნის გაღრმავებას ემსახურებოდა. მათი დახმარებით სტუდენტს შეეძლო თავისი სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად მოეხდინა საკუთარი, აკადემიური პროფილის ფორმირება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:



2.1 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის N1153 განკარგულების თანახმად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს თანხმობა მიეცა შპს „არძანს“ იჯარის უფლებით გადაეცა ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის N82-ში მდებარე 23077 კვ. მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა ნაგებობები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.073) 20 წლის ვადით. უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობად, სხვა პირობებთან ერთად, განისაზღვრა არანაკლებ 2200 სტუდენტზე გათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა და ამ მიზნით ქონების ან/და მისი ნაწილის რეკონსტრუქცია/რემონტი, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში. გარდა ამისა, პირობად განისაზღვრა 6000000 (ექვსი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში. 2016 წლის 25 ივნისს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „არძანს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის თანახმად, მეიჯარემ მოიჯარეს იჯარის უფლებით გადასცა ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირზე N82-ში მდებარე 23077 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა ნაგებობები: N1-5511.08 კვ.მ; N2 - 2393.92; N3 - 9864.53 კვ.მ; N4 - 995.78 კვ.მ; N5 - 1789.32 კვ.მ; N6 - 140.79 კვ.მ; N7 - 564.53 კვ.მ; N8 - 209.39 კვ.მ; N9 - 11.3 კვ.მ; N10 - 73.78 კვ.მ; N11 - 31.54 კვ.მ; ნაგებობა N12 (აუზი), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.073. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 20 წელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან. 2016 წლის 26 ივლისს იჯარის ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, მოიჯარედ განისაზღვრა შპს „არძანის“ უფლებამონაცვლე შპს „საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრი“ (ს/კ N405125127). ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 26 ივლისიდან 20 წელი. 2016 წლის პირველ აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება უძრავი ქონების ქვეიჯარით გადაცემის შესახებ. შპს „საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრმა“ ქონება ქვეიჯარით გადასცა შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს“ (ს/კ N405155638). ქვეიჯარის საგანს წარმოადგენს შემდეგი უძრავი ქონება: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N82-ში მდებარე N3 ხუთსართულიან შენობაში პირველ სართულზე არსებული 1893. 28 კვ.მ და მეორე სართულზე არსებული 1234.75 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან 1145.72 კვ.მ. ხელშეკრულების მიხედვით, ქვეიჯარით გადაცემული ფართი ჯამში შეადგენდა 3039.00 კვ.მ-ს. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 16 აგვისტოს N4/42274 წერილის თანახმად, სააგენტო არ იყო წინააღმდეგი ქვეიჯარით გაცემულიყო ფართი იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა მეიჯარეს უპირობოდ შეეძლებოდა წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში. ამასთან, მხარე (მოიჯარე, ქვემოიჯარე) არ მოითხოვდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებას. 2016 წლის პირველ სექტემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ცვლილება განხორციელდა 2016 წლის პირველ აგვისტოს დადებულ ქვეიჯარის ხელშეკრულებაში. კერძოდ, ცვლილების მიხედვით: ქვეიჯარის საგანს წარმოადგენდა უძრავი ქონება: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N82-ში მდებარე ნომერი N3 ხუთსართულიან შენობაში პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან 874 კვ.მ-ის, მეორე სართულზე არსებული ფართიდან 1168 კვ.მ-ის, მესამე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართიდან 194 კვ.მ-ის, მეოთხე სართულზე არსებული ფართიდან 220 კვ.მ-ის, მეხუთე სართულზე არსებული ფართიდან 582 კვ.მ-ის ქვეიჯარით გაცემასთან დაკავშირებით, რაც ჯამში შეადგენდა 3039.00 კვ.მ-ს.

დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო დაწესებულების საკუთრებაში არსებული საერთო ფართის ოდენობა და არ იყო გამიჯნული სასწავლო და დამხმარე ფართი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებას განემარტა აღნიშნული გარემოების შესახებ, რის საპასუხოდაც წარმოდგენილ იქნა რექტორის 2016 წლის 3 ოქტომბრის N02-6 განცხადება ფართის გამიჯვნასთან დაკავშირებით და შენობის გეგმა-ნახაზი (იხ. დანართი #1, 1 გვერდად და დანართი # 2, 5 გვერდად). განცხადების თანახმად ი. ჭავჭავაძის გამზირზე #82- ში შენობა #3 -ის საერთო ფართი ნამდვილად შეადგენდა 3039 კვ.მ-ს, საიდანაც 1959.16 კვ.მ სასწავლო ფართი იყო ხოლო 1082.24 კვ.მ დამხმარე ფართი. ტექნიკური ნახაზების შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო ფართში არ იქნა ჩათვლილი ისეთი დატვირთვის მქონე ოთახები, როგორიც იყო: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ოთახი, კანცელარია და სხვ. და დაზუსტდა საერთო და დამხმარე ფართის ოდენობა, რაც შეადგენდა

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ი. ჭავჭავაძის გამზ. N82 (შენობა N3) საკ. კოდი N 01.14.10.001.073	3039

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ი. ჭავჭავაძის გამზირი N82 (შენობა N3) საკ. კოდი N 01.14.10.001.073	1778.62

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ი. ჭავჭავაძის გამზირი N82 (შენობა N3) საკ. კოდი N 01.14.10.001.073	1260.78

2.2 მზს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.btu.ge იყო ქართულენოვანი და ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სატესტო რეჟიმში არსებული ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს უძღვებოდა აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული მასწავლებლები. აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი იყვნენ კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების, ასევე პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები. უნივერსიტეტში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარდა კონკურსი. 2016 წლის 12 აგვისტოს ოქმი N2 -ის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის შესარჩევმა კომისიამ შემოსული 87 განაცხადიდან განიხილა 72 განაცხადი, იმ კონკურსანტებისა, რომლებსაც კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი სრულყოფილად ჰქონდათ წარმოდგენილი. რექტორის ბრძანებით დამტკიცებულმა საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და დაადგინა მათი შესაბამისობა საკონკურსო პირობებ ებთან. კონკურსის შედეგების მიხედვით, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნულ იქნა 69 კონკურსანტი, რომელთაც 100 ქულიდან 71 ქულა და მეტი მიიღეს. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა 44 ასოცირებული პროფესორისა და 15 მოწვეული მასწავლებლის პირადი საქმე, რომლებმაც, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, მონაწილეობა უნდა მიეღო სასწავლო პროცესში. როგორც სილაბუსების შესწავლით ირკვეოდა, მათგან სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 41 ასოცირებულ პროფესორს და 15 მასწავლებელს. აღნიშნული 41 ასოცირებული პროფესორიდან უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული აკადემიური პერსონალის სიაში არ შედიოდა 5 ასოცირებული პროფესორი. ესენი იყვნენ: სალომე გაბელია; შორენა მჭედლიძე; გიორგი ჟურული; ზურაბ აბრამიშვილი; თამარ მაღალაშვილი. მაშასადამე, პროგრამების განხორციელებაში რეალურად მონაწილეობდა 36 პროფესორი. აღნიშნული 36 ასოცირებული პროფესორიდან (კონკურსით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად), ნაწილს ჰქონდა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება; მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს ჰქონდათ არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და არანაკლებ 3 (სამი) წლის პრაქტიკული გამოცდილება სფეროში; იყვნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მქონე პირები, რომელთაც ჰქონდათ არანაკლებ 5 (ხუთი) წლის პრაქტიკული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ან 5 (ხუთი) წლის გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. გარდა ამისა, კონკურსანტებს მოეთხოვებოდათ კომისიის წინაშე წარედგინათ სამეცნიერო პუბლიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სწავლებისა და კვლევების კონცეფცია /გეგმა; ერთი საგნის სილაბუსი. 36 ასოცირებული პროფესორიდან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე იყო 20 ასოცირებული პროფესორი. მათგან 11, პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ამავდროულად იყო დოქტორანტიც. რაც შეეხებოდა ვებ-გვერდზე განთავსებული ასოცირებული პროფესორების სიიდან დანარჩენ 33 ასოცირებულ პროფესორს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ისინი სასწავლო პროცესში მონაწილეობას არ ღებულობდნენ და შემდგომში, კვლევით პროცესებში ჩაერთვებოდნენ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია ამ ასოცირებული პროფესორების პირადი მონაცემები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოთხოვნისთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა ყველას პირადი საქმე, რომელთა შესწავლისას გაირკვა შემდეგი: 33 ასოცირებული პროფესორიდან, რომლებიც შემდგომში კვლევით პროცესებში უნდა ყოფილიყვნენ ჩართულები იყვნენ: ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, ტექნიკის მეცნიერებათა, საინჟინრო მეცნიერებათა, მათემატიკის, ფიზიკა-მათემატიკის, პედაგოგიკის, განათლებისა და ისტორიის დოქტორები / აკადემიური დოქტორები; მათ შორის იყო 4 დოქტორანტი ტურიზმის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სპეციალობით და ერთი მაგისტრი მათემატიკის სპეციალობით.

მაშასადამე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში რეალურად მონაწილეობას მიიღებდა 36 ასოცირებული პროფესორი ხოლო კვლევით პროცესებში ჩაერთვებოდა 33 ასოცირებული პროფესორი, ე.ი. ჯამში სულ 69 ასოცირებული პროფესორი, რაც ასევე დასტურდებოდა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული აკადემიური პერსონალის სიით. გარდა აკადემიური პერსონალისა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში გამოცხადდა მასწავლებლების კონკურსიც. 44 კანდიდატიდან კომისიამ შეაფასა 24 და არჩეულ იქნა 23, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიის მიხედვით პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებელი, რომელთაგან ზოგიერთს ჰქონდა აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური გამოცდილება. ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ ვებ გვერდზე განთავსებული არ იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიური პერსონალის სია, სადაც 69 ასოცირებული პროფესორი გამოხატავდა მზაობას და თანახმა იყო ავტორიზაციის მიზნებისთვის ჩაეთვალა ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

3.2 დაწესებულება სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარში მიუთითებდა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლიდა 3000, სამაგისტრო პროგრამაზე - 497 ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3, სულ ჯამში 3500 სტუდენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N 99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლის გ.გ პუნქტის თანხმად, უნივერსიტეტში - არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი უნდა მოსულიყო 50 სტუდენტზე. დღეისათვის დაწესებულებას არ ჰყავდა სტუდენტი, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იყო 68 პროფესორი. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი, პროფესორთა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ასოცირების ფაქტის გადამოწმება ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სთხოვა. გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული 69 ასოცირებული პროფესორიდან 8 - მინიმუმ 2 სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც იკავებდა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. ესენი იყვნენ:

1. ასოცირებული პროფესორი მარი მარინაშვილი, რომელიც პროფესორია შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიაში, ხოლო ასოცირებული პროფესორი ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში;

2. ასოცირებული პროფესორი ლია ჩარეიშვილი, რომელიც პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ახალ უმაღლეს სასწავლებელში;
3. ასოცირებული პროფესორი ლევან ლაზვიაშვილი, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტსა და ამერიკის ბიზნესის აკადემიაში;
4. ასოცირებული პროფესორი ლელა გაჩეჩილაძე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ინტერბიზნესის აკადემიაში;
5. ასოცირებული პროფესორი გელა გრიგოლაშვილი, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში სეუ და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში;
6. ასოცირებული პროფესორი ვანო ოთხოზორია ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში;
7. ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერეკაშვილი, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში;
8. ასოცირებული პროფესორი ნესტან კეკელია, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე იყო გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა და ინტერბიზნესის აკადემიაში.

ზემოაღნიშნული 8 ასოცირებული პროფესორიდან - 3 (გელა გრიგოლაშვილი, ვანო ოთხოზორია და ქეთევან ბერეკაშვილი), შედიოდა იმ 36 ასოცირებულ პროფესორთა რიცხვში, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღო სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

3.3 დღეისათვის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგებოდა ასოცირებული პროფესორებისაგან, აკადემიურ თანამდებობათა დაკავება ხდებოდა ღია კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი რეგულირდებოდა უნივერსიტეტის წესდებით და ასახული იყო რექტორის ბრძანებებში. უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, აკადემიური პერსონალის დაქირავების წესებს აკადემიური საბჭო ადგენდა, თუმცა აღნიშნული წესი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. საკონკურსო განცხადება კონკურსის გამოცხადების თარიღის, ჩატარების ვადების, ვაკანსიებისა და პირობების შესახებ განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რომელშიც მითითებული იყო კონკურსანტთა შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები. კონკურსი ჩატარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლებით დადგენილი პირობების, ეტაპებისა და ვადების დაცვით. პერსონალის შესარჩევი კომისიის სხდომა გაიმართა 2016 წლის 12 აგვისტოს, კონკურსი ჩატარდა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ასოცირებულ პროფესორად შერჩეულ იქნა 69 პირი, რომლებმაც 100 ქულიდან მიიღეს 71 ქულაზე მეტი. კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოცემული იყო რექტორის ბრძანება, კონკურსში გამარჯვებულთა აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

3.4 უნივერსიტეტში კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალი და პედაგოგები დანიშნულნი იყვნენ რექტორის ბრძანებით. მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხელშეკრულებები

აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული იყო სამი წლის ვადით, 2016 წლის 16 აგვისტოდან 2019 წლის 16 აგვისტომდე ხოლო მოწვეულ -მასწავლებლებთან, ორი წლის ვადით 2016 წლის 16 აგვისტოდან 2018 წლის 16 აგვისტომდე. ყველა ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ამოქმედდებოდა პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული და ისაუბრა უნივერსიტეტის ფართთან დაკავშირებით. კერძოდ მისი განცხადებით საერთო ფართი ათვისებული უნდა ყოფილიყო ოცამდე კომპანიასთან ერთად, მათ სასწავლო ბაზაზე სხვადასხვა კომპანიები გახსნიდნენ კვლევით ცენტრებს, მათ ასამდე კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი. აღნიშნულ კომპანიებში მოიაზრებოდნენ არა მხოლოდ ქართული კომპანიები, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული საერთაშორისო ბაზარზე წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიებიც მაგ: ჰიულეთ პაკარდი და სხვა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საბიბლიოთეკო რესურსი ჰქონდათ მატერიალური სახით ასევე წვდომა ჰქონდათ მრავალ ელექტრონულ რესურსთან. ჰქონდათ ელექტრონული მართვის სისტემა სადაც ჩაწერილი იყო ბაზები. აიტი მიმართულებით იყო ლიტერატურის დეფიციტი და დაწესებულება ზრუნავდა აღნიშნული განხრით ფონდის შევსებაზე. ასევე დამატებული იქნა რუსულენოვანი ლიტერატურა იმ სტუდენტებისათვის ვინც ფლობდა რუსულ ენას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ არ იზომებოდა პრაქტიკა კრედიტებით და როგორ მოახერხებდნენ 5 პროგრამაზე 3000 სტუდენტის უზრუნველყოფას 61 პროფესორით, ასევე მისი აზრით პრობლემა იყო სამკითხველო დარბაზი რომლის რესურსიც რეალურად უზრუნველყოფდა 30 სტუდენტს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც მოხდებოდა კოლაბორაცია ორგანიზაციებთან, შეიქმნებოდა ლაბორატორიები რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებოდა სამკითხველო დარბაზებითაც. კვლევით ლაბორატორიებში ასევე მოხდებოდა ახალი ლიტერატურის შექმნაც. დაწესებულება ასევე გეგმავდა შიდა მაღალტექნოლოგიური სოფტით სარგებლობას რითიც მოხდებოდა სასწავლო პროცესის ადმინისტრირება, პროგრამაში განთავსდებოდა ცხრილი, არჩევითი საგნების ჩამონათვალი, ჩაშენდებოდა ლიტერატურა და იქნებოდა ცალკე საკომუნიკაციო ველი მასწავლებლებსა და სტუდენტებისათვის. აღნიშნული პროგრამა ასევე იქნებოდა სწავლის დასრულების შემდგომაც სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალება.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რეალურად აღნიშნულ ეტაპზე, ფართის და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდა დაწესებულება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა აუდიტორია რომელიც განთავსებული იყო მეორე სართულზე აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით რომელიც ჯამში შეადგენდა 900კვ.მ. პირველ სართულზე განთავსებული იყო სამკითხველო დარბაზი, ხოლო მესამე სართულის განთავსებული იყო საოფისე ფართები კომპანიებისათვის სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები რომელიც დასრულდებოდა წლის ბოლომდე. აღნიშნულ 900 კვ.მ -ზე სწავლის განხორციელებას გეგმავდა სამ ცვლაში.

საბჭოს წევრი კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. კერძოდ, რატომ იყო გაფორმებული მხოლოდ 2 და 3 წლიანი ხელშეკრულებები და ხომ არ შეუქმნიდა აღნიშნული საფრთხეს პროგრამის სამომავლო პერსპექტივას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო ორივე მხარის სიფრთხილით ვინაიდან გახლდათ ახალი უნივერსიტეტი. შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულებები დადებული იქნა ერთგვარ სატესტო რეჟიმში.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ ჰკითხა წარმომადგენელს, რა იქნებოდა ის გონივრული რაოდენობა კონტინენტისა რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელი იქნებოდა 12 სასწავლო აუდიტორიით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოთხოვნა იყო 3500 სტუდენტი სამ ცვლაში აღნიშნულ ფართზე.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ ანალოგიური კითხვით მიმართა ექსპერტსაც, რომელმაც განმარტა, რომ ვინაიდან ორიენტაცია კეთდებოდა აღნიშნულ 900 კვ.მ-ზე, შესაძლებლობას იძლეოდა ერთ ცვლაში 400 სტუდენტის უზრუნველყოფას.

საბჭოს სხდომაზე 16:20 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა რომ საბჭოს მოსაზრებით არსებული ფართის მიხედვით მოთხოვნილი კონტინენტის რაოდენობა არ იყო გონივრული და არ მოდიოდა თანაფარდობაში არსებულ ფართთან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ხანგრძლივი სამომავლო საინვესტიციო გათვლა პროგრამის უზრუნველსაყოფად, მათი თხოვნა იქნებოდა 2000 სტუდენტის მიღების უფლება მიეცათ. აღნიშნული ეხებოდა პარტნიორებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მათი პოტენციალის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (ს/კ: 405155638) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მაგდა მალრაძე

მდივანი

თუთა ნარმანია